



# თავისუფლება

825  
1975

# ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

სამუდამოდ კოლმბია: † ლევან ზურაბიშვილი, † მიხეილ გრიგოლია, გიორგი წერეთელი.

**LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ**

Organe pour la Libération de la Géorgie  
პარიზი.


№7

აპრილი 1975

ეს ნომერი ეძღვნება ლევან ზურაბიშვილის ხსოვნას

Numéro spécial dédié à la mémoire de

## LEVAN ZOURABICHVILI



19. 6. 1906 - 10. 2. 1975



ა/წ. 10 თებერვალს, განთიადზე, სენ-ეგრემენის ჰოსპიტალში სული დალია ლევან ზურაბიშვილმა.

ეს თავზარდამცემი ამბავი მოულოდნელი არ იყო, მისმა ოჯახმა და ახლო მეგობრებმა ვიცოდით, რომ ის შვიდი თვის განმავლობაში ვაეკატრდა უმკლავდებოდა უჭურვებელ სენს. ავად გახდომის პირველ ხანებში კიდევ ვიმედოვნებდით მის სასწაულებრივ გადარჩენას, მაგრამ თანდათან გაუარესების შემდეგ, ამ წლის დასაწყისიდან. უთანსწორო ბრძოლის შედეგი უმკველი იყო. და აი მუხთაღმა და დაუნდობელმა სიკვდილმა უდროოდ დააქვრივა მისი ძვირფასი მეუღლე ზეინაბი, დააობლა მისი საყვარელი შვილები ოთარი და სალომე, სინანულით და მწუხარებით აავსო ახლო ნათესავები და მეგობრები, დედა სამშობლის წაადრეველ მოსტაცა მისთვის თავდადებული და ბრძოლებში გამობრძმედილი სახელოვანი შვილი.

როგორც ყველა დიდი სახელმწიფო თვისების მქონე მოღვაწე, ლევან ზურაბიშვილი მტკიცე და ურყევი იყო თავის გადაწყვეტილებებში. ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო მისთვის აზრი შეგვეცვლინებიათ, მაგრამ თუ იგი იქვეს აზრს იწამებდა, მაშინ მხარის დაჭერა ბოლომდე და ურეზერვოდ იცოდა.

ლევანი იყო უაღრესად სათნო, გულისხმიერი და თავდადებული სიყვარული. მეგობრების მიმართ მისი სახე და თვალები ნივარულსა და სიყვარულს აფრქვევდნენ, სამაგიეროდ, როცა ის განრისხდებოდა, მისი თვალები ფოლადისფერი, ცივი და გამჭვირვალე ხდებოდნენ. მოპირდაპირედ ამ უნდა გასცლოდა, ან დამორჩილებოდა. დაუზოგავად ებრძოდა იგი საქართველოს მტრებს, ქართველ მო-

ლალებებს. მას ვერ გაეგო, ვერ აეტანა გულზელდაკოვილი, განზე გამდგარი ქართველი, თვინათ პირად ცხოვრებით დაკმაყოფილებულნი, იმ დროს როცა ქართველი ერის ყოფნა არყოფნის საკითხი წყდება.

როგორც ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, ლ. ზურაბიშვილსაც არ ატოვდა სიცოცხლეში მოწინააღმდეგეები, უკმაყოფილონი და მომდურაენი, მაგრამ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გაფანტულმა ქართველობამ, ყველა ტემპარტმა საქართველოს შვილმა მისი სიკვილის გაგებისას, ერთმანდ ამოიგმინა: ღმერთო ეს რა რისხვა დაგვეცა; ქართული საქმის რა დიდი მოამაგე დაკარგეთო. საქართველოს უცხოელმა მეგობრებმაც ასე გაიგავს და შეაფასეს ლევან ზურაბიშვილის დაკარგვა. ვიჭქობ, ეს იყო განსვენებულისთვის უკანასკნელი, ყველაზე დიდი ჯილდო. მანამ სანამ განთავისუფლებული და მადლიერი სამშობლო თავის წიაღში მიიღებდეს და საქართველოს უკვადე შვილთა შორის შერიცხავდეს. მანამდე კი ჩვენ სასოარყვეთილება არ უნდა დავეცნელოს, არამედ კიდევ უფრო მჭიდროთ უნდა დავირახმოთ, კიდევ უფრო მეტად უნდა შევკრათ ჩვენი საბრძოლო რიგები, რათა ჩვენი სუსტი მხრებით შევიძლოთ ბუმბუღაზი ტვირთის სიდვა. ბოლომდე, სიკვილამდე არ დავემორჩილოთ უხეშ ძალმომრეობას. ყველგან, ყოველთვის, დაუღალავად ვამბილოთ მტრის ვერავი ბუნება.

ვიყოთ ლევანით პინდკოპლნი და შეუთრებებლნი. ეს იქნება საუკეთესო პატივისცემა ლ. ზურაბიშვილის ხსოვნისადმი და ამავე დროს, ეს იქნება საუკეთესო სამსახური საქართველოს უკვადეებისათვის.

გ. წერეთელი.

მოკლე ბიოგრაფია.

ლევან ზურაბიშვილი დაიბადა 19 ივნისს 1906 წელს, თბილისში.

მამამისი ივანე, იყო იურისტი. მსახურობდა ა/კავ. რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტად, ამავე დროს ის იყო ნაყოფიერი და სახელმძიმეპილი მწერალი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

დედა — ნინო, ნიკო ნიკოლაძის უფროსი ასული, იყო პედგოგი და პუბლიცისტი.

პატარა ლევანმა სწავლა დაიწყო თბილისში, ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიაში, შემდეგ კი გააგრძელა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში.

11—12 წლის ბავშვი, მამასთან ერთად, დაესწრო სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების ზეიმს მცხეთაში, და შემდეგ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებას თბილისში, ოპერის თეატრში. ამ ამბებმა

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მგრძნობიარე და ნიჭიერ ყმაწვილზე. მიუღიო თავისი სიცოცხლის მანძილზე ენი დარჩა ამ შთაბეჭდილებების ბედნიერი ტყვე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის მარტში, ივანე ზურაბიშვილი თავის ოჯახთან ერთად სოვეტ საქართველოს და პირველ ხანში სახლდება სტამბოლში. აქ ლევანი აგრძელებს სწავლას წმიდა მიხეილის კოლეჯში, სადაც მიიღებს საშუალო სკოლის ატესტატს — ბაკალორებს. 1924 წლიდან ზურაბიშვილის ოჯახი სახლდება პარიზში.

პარიზში ლევანი ჯერ შედის სენტ-ბარბის განთქმულ მოსამზადებელ კოლეჯში, რის შემდეგაც 1928 წელს ჩაირიცხება მონმანდონ - სანიჟინერო ინსტიტუტში (ეკოლ ლე შინ). დაამთავრებს 1931 წელს და იწყებს სამსახურს ფორლის საზოგადოების საფრანგეთის განყოფილება „სიკვაკრისლერიში“. ამ საზოგადოებაში ლე-



ენამ დაპყ 39 წელიწადი, უქანასენელ 15 წელიწადს ის თველებოა ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად. 1971 წლიდან ლევანი პენსიონერია და ამის შემდეგ, მთელს თავის ენერჯის ახმარს ქართულ საქმეზე ზრუნვას

ქართულ საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური მონაწილეობა მან ადრე—სტუდენტობიდანვე დაიწყო. 1928 წელს მას ირჩევენ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარედ.

1928—1929 წლებში, ილამაზ დაღეშველიანთან და იოსებ კეჭელარიანთან ერთად აარსებს წმიდა ნინოს ქართულ მართლმადიდებელ სამრევლოს პარიზში.

ამავე ხანაში, ილ. დაღეშველიანთან, არჩილ ზურაბიშვილთან, პეტერ ჯაფარიძე და გიორგი ჟურულთან ერთად აარსებს წმიდა ქეთევანის ქართულ ორთოდოქსალურ მოძაბას, რომელიც დამტკიცებული იქნა მსოფლიო პატრიარქის მიერ.

1930 წ. ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის მდივანია.

1934 წ. არჩეულია ქართველ ახალგაზრდათა წრის თავმჯდომარედ.

ლევანი წვერია წმიდა ნინოს სამრევლოს კომიტეტის, რომელმაც აღადგინა სამრევლოს აქტივობა 1943 წელს.

1947 წლიდან, ლევანი მუდმივი თავმჯდომარეა „თავისუფალ ქართველთა კავშირის“.

ლევან ზურაბიშვილი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეა, ჯერ 1949—51 წლებში, ხოლო შემდეგ, 1961 წლიდან სიკვდილამდე უცვლელად.

ამ უქანასენელი ტიტულით: ლ. ზურაბიშვილი თანადა-მმართველია აბზე გლაზბერგთან და სოხონტიეთთან ერთად აზნუნდანის მოხუცთა თავმჯდომარის.

ასევე თავმჯდომარის თანაშემწე იყო მოკავშირეთა ყოფილი მხედრების საერთაშორისო საზოგადოების.

აქტიურად თანამშრომლობდა საპუბლიკო კავშირის ტყეცხობაში მთავრ ერთა საერთაშორისო ორგანიზაციაში; აქტიურ მონაწილეობასღებულობდა საერთაშორისო კონგრესებზე და შეკრებობებზე, ყველგან სადაც ბრძოლა წარმოებს საპუბლიკო ტრანზის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ლ. ზურაბიშვილი აგრეთვე ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას. 1949 წ. გამოაქვეყნა ფრანგულად საქ. ისტორიის მოკლე წიგნი. მრავლად სწერდა როგორც ქართულ ისე უცხოელთა ჟურნალ-გაზეთებში. სრულიად მარტო სცემდა ყოველწლიურად ქარ. სათვისტომოს ორგანიზ. „ცნობის ფურცელს“ დაბოლოს, ლევან ზურაბიშვილი იყო „თავისუფლების ტრიბუნას“ სარედაქციო კოლეჯის წევრი.

ლევანმა ცოლად შეირთო მექი კედიას ასული—ზეინაბი. შეეირინათ ვაჟი—ოთარი და ქალი—სალომე.

ოთარი ამჟამად სწავლობს სამედიცინო ინსტიტუტში პარიზში, სალომემ დაამთავრა პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, პარიზში. ერთი წელი დაპყ კრუტეში (ი. შ. შ.) უნივერსიტეტში. 1974 წ. ბრწყინვალედ დაიცვა სადიპლომატო კონკურსი და საფრანგეთის ყველაზე ახალგაზრდა დიპლომატი, ამჟამად მსახურობს რომში, საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივანად.

**დაკრძალვა.**

ქრისტიანულმართან ერთად დასაფლავების მოწყობა ითავა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ, რომლის თავმჯდომარეც განსვენებული იყო უქანასენელი 14 წლის განმავლობაში,

დასაფლავება გადაწყდა შაბათს, 15 თებერვალს. გადასცემალების დღესვე „ამერიკის ხმა“ და რადიო „თავისუფლებამ“ ეთერში გადაცეს ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების ამბავი.

დაუყნებელიც დაეგზავნა ყველა მეგობარს და ნაცნობს, საქართველოს გარეთ, უბედურების მალეწყებელი ბარათები.

„არც თიფული, არც გვირგვინი. ვისაც ამის სურვალი აქვს საბოძგარი გადაუგზავნოს წმიდა ნინოს ეკლესიის სარეგულუს“ — ასეთი იყო განსვენებულის ნება-სურვილი.


პირველი საჯარო პანაშვიდი გადახდილ იქნა წმ. ნინოს ეკლესიაში, ოთხშაბათს 12 თებერვალს, საღამოს 8 საათზე და 15 წუთზე. პარასკევს, 14 თებერვალს მიცვალებული გადმოსვენებული იქნა ეკლესიაში, საღაც საღამოსს, 8 საათზე და 30 წუთზე, გადახდილ იქნა პანაშვიდი.

მეორე დღით, შაბათს, გამოსვენების დღეს, დანიშნულ დროზე ადრე, ეკლესიის ახლო-მახლო ავტომანქანების დასაყენებელი ადგილი აღარ იმოყვებოდა. წმ. ნინოს ეკლესიაში ტევა აღარ იყო; კიბეები, ეზო და ლა როზიეს ქუჩა გავსილი იყო ლევანის უქანასენელი მოგზაურობის გამცილებლებით. მათ შორის, ჩვენს პირობებში მყოფი ენების წარმომადგენლები და დასავლეთის პოლტიკური, სამხედრო, კულტურული და საკულტო საზოგადოებათა წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ.

პოლონეთის მთავრობა გადმოხვეწილობაში წარმოდგენილი იყო ბატონებით: ი. პავლოვსკი და ი. იანკოვსკი; ბულგარეთი: ბ-ნი სიმონიფ და ბარცე; დამოუკიდებელ უკრაინას და ა. ბ. ნიის ორგანიზაციის წარმომადგენდა ქალბატონი სლავა სტეცკო; (დამოუკიდებელი უკრაინის მთავრობის თავმჯდომარის მეთულე); ბ-ნი კოხი, უკრაინელი, ჟურნალ „ესტ-უესტის“ რედაქტორი; თავისუფალი ყაზახების წარმომადგენელი ბ-ნი მიელკო; მოძმე აზერბაიჯანს — ბ-ნი ტოფიბაში; მოძმე სომხეთს—ბ-ნი ჯამალიანი; ბ-ნი პრევე ბუჟარ, ხმელთაშუა ზღვის კომიტ. სახელით; ქ-ნი ბუფანე, უსამშობლო

5-7-115

2868





თა ოფისის დირექტორის მეუღლე; ბ-ნი **ედმონდ რეპატი**, აღმოსავლეთ ევროპის ტყვე ერთა ორგანიზაციის წარმომადგენელი; რადიო „თავისუფლებიდან — ბ-ნი **კოლი**; რუმინეთის წამომადგენელი ბ-ნი **ა. შისენ** და რუმინეთის ეკლესიის — **მამა დომინიკინიუ**; ლენინური **ვენეჟუჩინი**; ბ-ნი **ბ. ლე კოლოკი**, ყოფილი მინისტრი და დეპუტატი; **ბ-ნი გი კუტაძე** და **სხევაძე**, წმინდა ლაზარეს ორდენის რაინდი; **კონტი კინსკი**, მემკვიდრეობით მალტის ორდენის რაინდი; ბ-ნი **ირისუ მეუღლით**, ფინანსთა ინსპექტორი; **კონტი აშელე დანსელი**, — ეკოლ ლე მინის 1928—31 წლების გამოშვების თავმჯდომარე; რეზერვის ლეიტენანტ-კოლონელი რეიმონდ ა. მ. მინიო, მთავარი ინსპექტორი ახალგაზრდობისა და სპორტის, მოკაეშირეთა ყოფილი მებრძოლების მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე, მობრძანდა დელეგაციით და მოკაეშირეთა დროშით და სხვა.

მიცვალებულის კუბურ გადაფარებული იყო ქართული დროშით. ქართული და მოკაეშირეთა დროშები გვერდგვერდ იდგნენ საპატოო ყარაულში.

წესის აგებამდე, მოძღვარმა ილიამ წირვა გადაიხადა. სრულ 9 საათსა და 30 წუთზე ტაძარში შემობრძანდა, საფრანგეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი **მელეტეოსი**.

მისმა უწმიდესობამ თვით ინება წესი აეგო მიცვალებულისათვის. თავდაპირველად მიტროპოლიტმა იქადაგა; მოიხსენია რა მიცვალებულის დიდი დამსახურება ქრისტიანობის წინაშე, მან ათონის მთის ორდენის ჯვარი, სათანადო მოწმობით დაადვა კუბოზე. (ათონის მთის მონასტრის ორდენის ჯვარი დაწესებულ იქნა კონსტანტი

ნობოლის მსოფლიო პატრიარქ ათენაგორას მიერ; განთქმულ მონასტრის დაარსებიდან ათასწლეულის აღსანიშნავად). ეს ორდენი განსვენებულ ლევენს ზეზუბიშვილს მინიჭებული ჰქონდა სიცოცხლეში, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მის საღვთისმშობლო გადაცემას.

წესის აგების ცერემონიალი ერთად შესარულეს მიტროპოლიტ **მელეტეოსმა** და დეკანოზმა **ილიამ**. გალობდა ქართული საეკლესიო გუნდი. სამგლოვიარო პროცესია მანქანებით გაემართა სოფელ ლევილისაკენ. სასაფლაოს ქიშკარიდან, ახალგაზრდებმა ძვირფასი კუბო მხრებით მისავენეს საფლავთან. წინ მიუძღოდა მოძღვარი და მაგლობელთა გუნდი. საფლავის პირად ნამა ილიამ კვლავ ილოკა, რის შემდეგაც განსვენებულს უჯანსაღი სიტყვებით მიმართეს: ფრანგულად ბ-ნმა ვ. ხომერკიმა, ქ-ნმა სლავა სტიეცკომ, რეზერვის ლეიტენანტ-კოლონელმა ბ-ნმა მინიომ და ბ-ნმა გია სარჯველაძემ, ხოლო ქართულად — ბატონებმა: ნიკ ცინცაძემ, ვიქტორ ნოზაძემ, მიხეილ ქეთათაძემ და გიორგი ყიფიანმა. ყველა ეს სიტყვები აქვე იბეჭდება.

სიტყვების შემდეგ გუნდი მღერის „დიდებას“. „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“-ს გალობაზე, ლევენის ძვირფასი კუბო ნელად ეშვება სამარეში... ფხვიერ, ქართულ მიწის პეშვს ვაყით საფლავში გულმხურვალე მამულიშვილს. მაღელ ის ფრანგული მიწით იდივარება, მაგრამ საქმენი მისნი დარჩებიან ამ ქვეყანასა ზედა და მარადის იცოცხლებენ მადლიერ აწმყუა და მომავალ თაობათა მეხსიერებაში.

**წოლი ცინცაძის სიტყვა**

**გლოვის** კვირა ქართულ ემიგრაციის ქუჩაზე, შავი კვირა...

„რა უსამართლობაა!“ — წამოიძახებს ჩემი მეგობარი როცა ლევენის გარდაცვალებას ვაიგებს, — მართლაც ეს ისეთი უსამართლობაა, რომელსაც ჩვენი სულის და გულის დილიცა ვერ ურიგდება, — უზუნავსი არსება ადამიანის წარმოდგენაში და შეგრძნობაში, ის ხომ ყოველის შემძლე, ყოვლისმცოდნე და უმაღლესი სამართლის განსახიერებაა. მამ რატომ, რატომ არ მოიღო მადლი, ასე ეკითხება თავის თავს ადამიანი და პასუხსაც იღებს: **მისი გზები გამოუცნობია**. . .

მამ სასწაული რომელზედაც ჩვენ ვეფიქრობდით არ მოხდა და მწარე სინამდვილე უფულო და მწარე ბედისწერას ვეზიარებ. ახლა ვიკითხოთ: რატომ არის, რომ დღეს ჩვენი სული ასე აფორიაქებულა? პასუხს ამაზე იძლევა განსვენებულის დიდათ შინაარსიანი ცხოვრება, საზოგადოების სამსახურისთვის მთლიანად მიძღ

ვნილი. ამ ცხოვრებიდან ჩვენ აქ ერთ მომენტზე შევიერთდებით: ეს არის მეტად მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენს ერის ახლო წარსულიდან. **1917 წლის ნოემბერი**. ეროვნული ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი ქართველი ერის ყველა ფენების, ასე ვთქვათ, „ელიტა“ შეიკრიბა თბილისში, აი, აქ მონაწილეობა შორის, მამასთან ერთად, **12 წლის** ჰაბუკი ლევანიც აღმოჩნდება, სწორედ აქ პირველად საქართველოს თავისუფლების და სუვერენობის ზარი ჩამორეკავს, ძალიან ხშირად მოიგონებდა ჩემთან ამ დღეს განსვენებული... ამ დღემ გაავლო, ვფიქრობ მე, წარუშლელი კვალი მის ცხოვრებაში, სწორედ აქ ჰქონდა ადგილი ეროვნულ ემბაზში მონათვლას. მისში გაღვიძებული ღრმა ინსტიქტი შემდეგში მტკიცე და ურყევ ეროვნულ შეგნებად იქცევა. — ბრწყინვალე სამიწელი საქართველოს თავისუფლების და აღორძინების პერსპექტივისა, ლევენისათვის გზის მაჩვენებელი ვარსკლავი გახდება.



დროშა ტყეობაში მყოფ ერის და ადამიანის თავისუფლებისა ლევან სიკვდილის სარეცელად ხელთ მაგრად ეპყრო და მს. თავდობის გამსაზღვრებელ; ის იყო მისი ცხოვრების „რეზონანსი“ და ასე ვთქვათ, ერთადერთი „ტიტრი“, რომელიც სხვას ყველას ფარავდა. ამის ექვემდებარებოდა ამ ადამიანის დაუღალავ და შეუჩერებელი აქტივობა ქართულ ემიგრაციის ცხოვრების ყოველ დარგში; იყო ეს სულიერი თუ მატერიალური ხასიათისა; იყო ეს ეკლესია, თუ მრავალი საზოგადოებრივ - კულტურული და სოციალურ - პოლიტიკური მანიფესტაცია, — ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშში მიმართული იქნება ერთ და იმავე მიზნისკენ, რომელიც 12 წლის ქაბუჯში ჩაისახა.

წუთისოფელს ლევანი უდროოდ ეთხოვება და დროშას, რომელსაც ის ასეთი სიყვარულით ატარებდა, გადასცემს, გადაულოცავს თავის საყვარელ შვილებს; სალომეს და ოთარს. ესენი კი, ჩვენი ღრმა რწმენით,

**ვიპოზო ნოზაძის სიტყვა**

ოთხი ათასი წლის წინად ცხოვრობდა ბაბილონ-სუმერში ერთი პოეტი, რომლის ლექსის ნაწყვეტი დარჩენილია ვა-მომწვარი თიხის ნატეხზე. პოეტი მიმართავს ღმერთებს და მათ მწარედ უსაყვედურებს — დაახლოვებით ასე: ღმერთებო! თქვენ არა ხართ მართალი!

თქვენ შექმენით ადამიანი და მას დაუწესეთ სწეულე-ბანი, თქვენ კი მარად ჯანმთელი ბრძანდებით! თქვენ შექმენით უსამართლობა ამ ქვეყანაზე, თქვენთვის კი სამართლიანობა აღიარეთ. თქვენ მიირჩიეთ ტყბილ საზრდოს, ჩვენ კი შიმშილში ცხოვრობთ, თქვენ მოვ-ფანიჭეთ სიციცხლე, მაგრამ დაგვიდგინეთ სიკვდილი, თქვენი კი უყვადენი ბრძანდებით. სად არის ღმერთებო, სამართლიანობა თქვენი?

ასეთივე საყვედურით უნდა მივმართო ღმერთს. რატომ, რისთვის მოგეტაცა უღმობოდმა სიკვდილმა, საყვარელი ლევანი? ჩვენი ლევანი მოქმედი, ენერგიული, მებრძოლი საქართველოს თავისუფლებისთვის.

რატომ დააოხლა მან მისი მშვენიერი ცოლშვილი? რად დააოხლა მან ქართულ ეკლესიაზე ამაგდარობა?

**მიხეილ ქავთარაძის სიტყვა**

საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებულმა ქართულმა მოქმედებამ საშინელი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. დაკვაჩოეთ ლევან ზურაბიშვილი — ეს უბედურება იმდენად თავზარდამცემია, რამდენად დიდი იყო ის ადგილი რომელიც განსვენებულმა თავისი ნიჭით, ცოდნით, უნართი, მონღომებით და თავდადებით. უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის დაიჭირა.

მისი საქმე გაგრძელდება, რადგან უნდა გაგრძელდეს, მაგრამ სინამდვილასკი პირდაპირ უნდა შევხედოთ. ჩვენი საქმის ერთი უპირველესი ბურჯი წაგვექცა, რადგან დაეკარგეთ კაცი რომელზე, სამართლიანად, უდიდეს იმედს ვამყარებდით. და ვაი რომ მისი ხარისხის მქონე შეეცე-

ახალ თაობებთან ერთად აქაც და იქაც, ქართულ მიწაზე განსაკუთრებით, 26 მაისის გზას ერთგულად ემსახურებინა. — ამის თავდები იქნება ჩვენი კარგი და საყვარელი ზეინაბი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ის მატარებელია ქართველი ქალის საუკეთესო ტრადიციების. მისი თავდადება და თავგანწირვა, უხვად გამოვლინებული უკანასკნელად. ამავე მოწმობის და საგნისთვის ადასტურებს, — ამაო იქნებოდა გულდათუთქულ ოჯახს ნუგუმის სიტყვა ეუთხზათ, ვინაიდან ასეთ შემთხვევისათვის სიტყვა უძლურია.

გულწრფელად ვუსურვებთ კი მათ დიდ მხნეობას და წარმატებას, მუდამ ეამს წარმატებას საყვარელ ლევანის მიერ თელილ გზაზე.

დასასრულ, მწვავე გულისტკივლით ვეთხოვებით ჩვენს ლევანს.

კეთილი იქნება ხსენება მისი ქართველის გულში!

რად დააოხლა მან ქართველობის ეროვნულ-პოლიტიკური ზელმდევანელობა? რატომ მიატოვებინა მას მრავალ საქმეზე ზრუნვა.

სად არის სამართალი, სად არის სამართლიანობა? და ასეთ უსამართლობაზე გოდებს მეთოხე ათასეულ წლებში, „გოლგამეზიანის“ ავტორი, როცა ამბობს —

— ღმერთებმა ოდეს შექმნეს კაცი, სიკვდილი დაუწესეს კაცს; სიციცხლე კი თავისთვის დანიარჩუნესო და დასაბამიდან დაწესებულმა ამ კანონმა — სიკვდილმა — იმსხვრებლა ჩვენი ლევანი და დაგეტოვა ობლად, შეწუხებულ და შეძრწუნებულნი.

ჩვენ რა ვქმნათ?

ჩვენ ვგლოვობთ მას და თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ეს სიკვდილი ყველას მოელის და არც პირველი და არც უკანასკნელი იქნება ვინმე, ხოლო ბედნიერი არის მხოლოდ იგი, ვინც ამ სოფლად სიყვარული და კარგი სახელი დატოვა ოჯახის და საზოგადოების გულში და არ მიეცემა დავიწყების უფსკრულს არა მარტო ჩვენს ხანაში, არამედ საუკუნოებში, მარადიანობაში.

კურთხეულად არს სახელი შენი.

ლელი იქნებ ვერასოდეს ვიპოვნით.

ყოველი ადამიანი რომელიც ამ სოფელს განზორობდა, ჩვენი რელიგიური რწმენის მიხედვით, ღმრთის სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს. ჩვენ გარდაცვალებულის მეგობრებს და მასმჯავროში არაფერი გვეკითხება, მხოლოდ წესია რომ მიცვალებულის სულისათვის უნდა ვილოცოთ. თუმცა ყველამ უწყის რომ ლევანი ღმრთისმოსავი კაცი იყო. ისიც ნუ დავგავიწყებება, რომ ამ ქვეყნად უცოდველი არავინ არის, მაგრამ რამდენად ჩვენ ლევანს ვიცნობდით, ვიცი რომ იგი უფლის წინაშე პირნათლად წარსდგება.



მაგრამ ყოველი კაცი გარდაცვალების შემდეგ, მისი განვლილი სიცოცხლის განმავლობაში ნამოქმედარით, აქ დარჩენილია სინდისის სამსჯავროს წინაშე სდგას, და ჩვენი შეგნება, ჩვენდა უნებურად, განსვენებულის აქაურ ნამოქმედარს სისწორზე სდგბს.

ჩვენ დღეს მიწას ვაბარებთ კაცს, რომლის მთელი ცხოვრება ნამდვილი წასაბამი მავალითია, იმიტომ რომ მან, აღამიანურ დივალს, როგორც მას სწამდა, მისი სიცოცხლე, მრთელი მისი არსება, ყოველგვარი რეზერვის გარეშე, ურყევი ნებითა და თავდაუზოგავი გამეტებით მთლიანად შესწირა.

მის სურდა ყოფილიყო და იყო კარგი ქართველი. ხოლო კარგი ქართველობა, მის შეგნებაში, საქართველოს სამსახურს წარმოადგენდა და იგიც, ყრმობის პასაკიდან სიყვდილამდე, თავის ქვეყანას ემსახურა.

მის სურდა ყოფილიყო ქართული ოჯახის მამა და ეს ოჯახი მან შექმნა, იგი ამ ოჯახს, თავის მუღულე ზეინამთან ერთად. სასახლოდ გაუძღვა და რა შედეგსაც მიღწეა ამას ამოწმებს, ის სიყვარული და სიმაყვე რომელსაც ჩვენ, მისი შვილების შემხედანეი განვიცდით.

ვინც ლევან ზურაბიშვილის ცხოვრებას დააკვირდება არ შეიძლება განცივრება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ფიზიკურად არც ისე მავარმა კაცმა, მისი სიცოცხლის განმავლობაში, თავის თავში ენერჯის იმდენი მარაგი აღმოაჩინა და დახარჯა, რამდენსაც ხშირად, რამდენიმე კაცი შეერთებულად ვერ გამოიჩენს და ვერ დახარჯავს — ის მოვლენა აიხსნება ერთი იმით რომ ამ კაცში, გარედან შეუმჩნევლად, უმარტივო რეზერვა ყოფილა დაბუდებული და მეორე — იმით, რომ მან მრთელი მისი შესაძლებლობა და უნარი, ყველაფერი რაც კი მას ღმრთისაგან მოცემული ჰქონდა, დაუზოგავად და გულუხვი აღტკინებით, საზოგადო საქმეს შეაღია.

ქართული აფორიზმი ამბობს: „კაცი მაშინ ხარ საქებად თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღე შენს თავსა ჰკითხება: ამა მე დღეს ვის რა ვარგე?“ ლევან ზურაბიშვილმა ეს წესი მთელ მის სიცოცხლის განმავლობაზე გაავრცელა და ამ პრინციპის ერთფულეებაში დალია სული.

ჩვენ ყველანი ჩვენი ქვეყნის სამსახურში ვიმყოფებით და ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ამ საქმეს ვემსახურებ-

ბით. ზოგმა ჩვენმა თანამემამულემ იქნებ ლევანზე უფრო თვალსაჩინო ან უფრო დიდი როლი ითამაშა, მაგრამ მხელია მოინახოს ისეთი მოღვაწე, რომელსაც თავისი ტენციალური შესაძლებლობა ასე ინტეგრალურად ქვეყნის სამსახურის დივისიონის შეეწიროს, როგორც ლევან ზურაბიშვილმა მოიმოქმედა.

აი ამაში მდგომარეობს ამ ჩვეულებრივ მოკვდავის არჩევულებრივობა. ვადაუქარებულად შეიძლება ითქვას: ჩვენ ქვეყანას რომ მასავით თავდადებული შვილები მეტი ყოლიდა, ჩვენი ქვეყნის ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა.

აი მოკლე დახასიათება იმ კაცისა ვისაც ჩვენ დღეს ვემშვიდობებით. მე თავს ვიკავებ თქვენ დაწვრილებით მოვითხოვთ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შრომით, გარჯით და დაუღალავი მოქმედებით სავსე იყო მისი სიცოცხლე. პატიოსნად და ღვაწლმოხილად გეტოვებს იგი ჩვენ. უზომოდ დიდია ის ვალი რომელიც ჩვენ მისგან დაგვედო.

მე მხოლოდ თავს ნებას ვაძლევ, ყველა აქ მყოფებთან ერთად, ხოლო კერძოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით სამძიმარით მიემართო მის დამწუხრებულ ოჯახს და ვუთხრა რომ ჩვენ ყველანი მათ მწუხარებას ვიზიარებთ და ღრმად განვიცდით.

აწ მშვიდით განისვენე ძვირფასო ლევან. შენი ძეგლი და მსოგონარი შენივე ნამოქმედარი და ნაღვაწია, რომლითაც, შენმეორე ამ ქვეყნად განვლილი გზა ესოდენ საესეა.

შენ ამ სოფლიდან ისე მიღიხარ რომ ვალზე მეტი მოგიხბია, რადგან შესაძლებელზე მეტი ვაიღე.

როგორც ბევრ სხვას, არც შენ გედირსა შენთა წინაპართ საფლავებს შორის ქართულ მიწას რომ მიზარებოდი. მაგრამ აღამიანი ცხოვლისაგან იმითაც განირჩევა, რომ მისი ფასი და ღირსება, ხორცი კი არა სულია და შენს სულს აქ რა გააჩერებს ოდეს თვით შენს სიცოცხლეშიაც შენი სული, გული, ფეხი და გონება იმ ქვეყნისაკენ მიჰქროდა, სადაც შენს წინაპრებს უტხოვრიათ, რომელსაც ძველად კოლხეთი და ივერია ერქვა, ხოლო დღეს საქართველო ჰქვია.

საუკუნო იყოს ხსენება შენი!

**ბიოგრაფი ზივიანის სიბჰვა**

გლოვით შემოფარდულ ლევილის ძმათა სასაფლაოს ვაბარებთ უტყობთში ვადმოხიზნულ ქართველთა დიდ მსახურს და დიდ მოამაგეს ლევან ზურაბიშვილს. სამყვრ დროშაში გახვეული და ცივ საკაცეში ჩაფიორებული მისი სხეული გვაავლებს:

მთლიანობას, გამძლეობას და დაუნდობელ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ძვირფასო ლევან, შენ არ იყავი მხოლოდ სტუდენტთა საზოგადოების ღირსეული წევრი და ხელმძღვანელი.

შენ არ იყავი მხოლოდ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ფასდაუღლებელი მსახური.

შენ არ იყავი მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.



შენ არ იყავი მხოლოდ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავკაცი.

შენ ბრძანდებოდი უფრო სრული, უფრო მთლიანი...

შენ ერთმა, მხოლოდ ერთმა შორეთში გადმოიხიზნულ ქართველთა სამსახური და პატრონობა გაითვისაღე.

შენი არადღებების გზები ყოველ წლიურად სხვა და სხვა ქვეყნებისაკენ მიიმართებოდენ. მჭვიდმეტე საუკუნინიდან შახაბაზის მიერ სპარსეთს გადასახლებულ ქართველთა შთამომავლობას, ფერეიდანში თუ ვაშლოვანში აცნობდი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და უძლიერებდი ქართული მიწის სიყვარულს. იგივე სიყვარულით და სიკეთით მიგმზავრებოდი ამერიკაში, ინგლისში, იტალიაში, ოსმალეთში, გერმანიაში და სხვათა ქვეყნებში.

ძვირფასო ლევან, შენ იმ ქართველთა თაობას ეკუთვნობდი. რომლებმაც ვერ იგემეს ოცდაექვსი მაისის სხივების მშობლიური სითბო და ვალგადახდილნი, გულვაჟხარელი გავიდნენ ამა ქვეყნიდან:

- არცერთი თაობას არ უნახავს
- ამდენი ბრძოლა,
- არცერთი თაობას არ უნახავს
- ამდენი ქროლვა,
- მამული - დედა,
- მამული - კენესა, გზები განვლილი
- ნაწერი სისხლით,
- განა სისხლით?.. ბრძოლით და ცრემლით
- ყოველ ტკივილზე მძიმე და ძნელი.
- დედაო ლეთისა! გადმოხედე
- უტხო მიწაში
- გადამარხულ ქართლოსის სხივებს,
- დღეს შენ გაბარებთ

ლტოლელითა თავკაცს, ჩვენი ბრძოლების  
 გზაშუქვსვეტ სიღარბაისღეს.  
 აჰა... მოვართვით  
 დაუღლეი კარღეს მსახური,  
 ცივ საცაქეში  
 საინოებით გამოსახული,  
 მიეც კორიხევა მარად შენს მსახურს;  
 გადმოიხიზნულთა მოამავეს,  
 გონებით მაღალს,  
 მტრის წინაშედაც პირდაპირს,  
 მართალს,  
 ვისაც ქვეყნისთვის არ ჰქონდა დაღლა.  
 გემშვიდობები  
 მეგობარო — გულგანუყვრო,  
 გაეღის ღრო და  
 მიეც შენსავით უტხო საფლავის  
 კარებს შევაღებ.  
 აი მცირედი სუსტი ლექსისი  
 ნაჯახირალი,  
 რომელმა ვერ თქვა  
 შენი სიკვილით  
 გული ჩემი როგორ დადაღე.

მიემწუხრები ჩვენს ძვირფას ზენიანს, შენს ერთგულ თანამშრომელს და მეუღლეს, მეუღლეს ამ სიტყვის მაღალი, ეროვნული გაგებით. შენს მშვენიერ ქალ-ვაჟს სალომეს და ოთარს.

ღმერთმა უხვად გარგუნა გული, გრძნობა, გონება, დიდ მამების საქმეთა ქვეყნად განმეორება.

განიმეორე, ვადადი და მოთავსდი იმ ქართველთა შორის, რომელთაც საქართველო საუკუნიდან - საუკუნემდე იხსენიებს და არ ივიწყებს.

### სამძიმრის წერილები და დეპეშები

#### ჩ ე მ ი გ ო დ ე ბ ა .

როგორც ქართული ქრისტიანული კოლეჯების სული-ერმა პასუხისმგებელმა, მეც მიინდა ჩემი მცირედი წვლალი მოვიტანო საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საყვარელი თავმჯდომარის ხსოვნისათვის.

თავდაპირველად, ლევან ზურაბიშვილი პირადად იყო შეგნებული და ერთგული მორწმუნე. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეკლესიის საქმიანობაში, იყო საზოგადო მოღვაწე, როგორც ოჯახური ტრადიციით ისე პირადი მიდრეკილებით, მან საჯაროდ გამოთქვა თავისი რწმენა.

ლევან ზურაბიშვილი იყო ერთი იმათგანი, ვინც საფუძველი ჩაუყარა პარიზში, 1929 წელს, ჩვენს წმინდა ნინოს სამრევლოს. ასევე, მან თავისი ანაგით, ენერგიით და ორგანიზატორული ნიჭით, გამოიწვია და უხელმძღვანელა ქართველ ემიგრანტთა არაჩვეულებრივ გულუხვობას, რათა შექმნილიყო მუდმივი საკუთარი საკულტო ადგილი. და ბოლომდე მიიყვანა მისი შინაგანი მოწოდების საქმე, რომელიც სამართლიანად იწვევს საყოველთაო აღზრთოვანებას.

საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ: ეროვნული და ქრისტიანული თავდადება ლევან ზურაბიშვილის ძვირი დაუჯდა,



როგორც პირადი სამსახურის ისე საკუთარი ჯანმთელ-ობის მხრივ. მართალია ერთ მეტად დიდმნიშვნელოვან ავტო-მანქანების მშენებელ დაწესებულებაში მან მიაღწია მმართველის მაღალ თანამდებობამდე, მაგრამ იმის გამო, რომ ის „უსამშობლო“ იყო ოფიციალურად, ხელს უშლიდა მის კიდევ უფრო აღმასვლას. ამავე მიზეზით მას არ შეეძლო საფრანგეთში, სახელმწიფოს მაღალი მოხელე გამხდარიყო, მაშინ როდესაც ის თავისი ინტელექტუალური მომზადებით, შრომის დიდი უნარით და განების გამჭვირახობით და თაოსნობით, ამისათვის იყო მოწოდებული.

ჩვენი, — პოლიტიკურ დევილითა—მოვლა - პატრო-ნობა მას ართმევდა ძალიან ბევრ დროს, რომელსაც ის აკლებდა ნაწილობრივად თავის სამსახურს, მაგრამ უმთავრესად, თავის დასვენებას და ვართობის დროს, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა ადამიანისათვის და განსაკუთრებით მასავეთ დიდი მომუშავესათვის. მე მოწამე ვარ პირადად, თუ რა დიდი ენერჯია მან დახარჯა ეკლესიის ძველი ბინიდან წასვლასთან დაკავშირებით, სიმწე-ლეების დასაძლევად, აგრეთვე ახალი ბინის შესაძენად, რამაც მისი ჯანმთელობა ძლიერ დააზიანა და რამდენიმეთ სიცოცხლე შეუმოკლა.

როგორ შეიძლება ყველა ამისათვის მას არ ვეთაყვანოთ და მისი მაღლიერი არ ვიყო!.. მაგრამ ჩემი მაღლიერება განსაკუთრებით მის პიროვნებას ეკუთვნის; მისი უღრესად ადამიანური თვისებებისათვის, რომლებიც მისკენ ასე გვიზიდავდნენ. მეგობრობა, რომელიც მან ჩემთვის იწავა, არის ის საუფრესო, რომელსაც წმიდათ ვინაბავ, სხვა მრავალ ქართველებთან ერთად, აქაც და იქაც.

ჰუმანიტად, მისი საფლავი, ლევილის ეროვნულ სა-სახელაოზე, არის ძვირფასი ძეგლი საქართველოსთვის.

**დეკანოზი ილია მელია.**

პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მოძღვარი.



**ქართული საქმის ამაჯდარი.**

სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილ ახალგაზრდას, რომელმაც უტხოვით მიიღო უმაღლესი, სპეციალური განათლება შექცელო ვაკეპოლოდა წყნარ, მშვიდ ცხოვრე-ბის გზას, მან აირჩია ქართული საქმისთვის მებრძოლთა ხვედრი და მთელი არსებით ჩადგა საქართველოს უფლე-ბის დამცველთა რიგებში. პოლიტიკურ-საზოგადოებრივ შრომაში, ყოველდღიურ საქმიანობაში იგი დაეაყკადა და სამოღვაწეო ასპარეზზე ღირსეული ხელმძღვანე-ლის ადგილი დაიკავა.

გაუტეტელი ნებისყოფით, ენერჯით და თავდადებით მან შესწლო გზა ვაკეაჟა უტხო წრეებში, იქ დაეყენებია ქართველი ერის მოთხოვნილებანი, გაეცნო მათთვის

ქართველი ერის მისწრაფება ეროვნული თავისუფლების აღსადგენად. აქ იგი იყო უკომპრომისო, მადგარი და შეუტყვეველი დამცველი საქართველოს უფლებების..

ქართული საზოგადოება მოწამეა რომ ლ. ზურაბიშვილი არ უშეგბდა არც ერთს შემთხვევას, სიტყვით, კალმით არ დაეცა ქართველის სახელი და ღირსება. სამშობლოს მტკიცე სიყვარულით, ლევანი ფხიზლად იდგა საქართვე-ლოს უფლების სადარაჯოზე, სადაც შეწყდა მისი გუ-ლის ძეგრა სამშობლოსათვის რომ სცემდა.

მრავალ წლის განმავლობაში, ქართული სათვისტომოს საქმეთა წარმოებაში, იგი იყო ყველასათვის მხარუნიველი, გულშემატკივარი და მყვესი.

. . . როცა ჩვენი ბედკრული, წამებული ქვეყნის ბრძო-ლის ისტორია დაიწერება, შიგ ლევანის შრომა და თავდა-დება უტხოვით ჩატარებული საპატიო ადგილს დაი-კერს..

**პ. სარჯველაძე.**



**სამძიმარი „თავისუფლების ტრიბუნის“ რედაქციას.**

საფრანგეთის ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ დი-დოდ დააწუხრა აქ მცხოვრები ქართველები.

ქართველ ემიგრაციისათვის მისი დაკარგვა აუნაზღაუ-რებელი დანაკლისია. ისეთი უნაგარო თავდადებულ პი-როვნებას, როგორიც იყო აწ განსვენებულ ზურაბიშ-ვილი ჩვენს ემიგრანტულ ცხოვრებაში იშვიათია. ის ენერ-ჯიულად იბრძოდა პოლიტიკური ემიგრაციის სახელის და ღირსების შესანარჩუნებლად, დაუღალავად იღვწოდა ყოველი ემიგრანტის მიმე მდგომარეობის შესამუშუქებ-ლად; შესაძლებელ პირობებში ყველას დახმარების ხელს უწყვიდა. სადაც კი მიესვლებოდა საზოგადოებრივ მუ-შაობასთან ერთად, პოლიტიკურ მოღვაწეობისათვისაც გული ეჩრთდა და ქართველი ერის შეზახულ უფლებას შეუპოვრად და უკომპრომისოდ იცავდა. არც უტხოვლებ-ში ქართველი კულტურის პროპაგანდისათვის დროს და-კარგვა ენახებოდა და ხალისით ასრულებდა პოლიტიკურ მოღვაწეობის ყოველგვარ დახმებას, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს სარგებლობას მოუტანდა. დაჩინე-ბით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოების სა-შუალებას და გზებს იძიებდა, ანტიკომუნისტურ ორგანი-ზაციების ინტერნაციონალურ შეკრებებზე, სიტყვით და მოხსენებით ხშირად გამოდიოდა, სადაც დამპყრობელ საბ. რუსეთის მახინჯ ეროვნულ პოლიტიკას შემართებით და გაბედულად აკრიტიკებდა. დაუზოგველად ამხელდა კო-მუნისტური რეჟიმის ერის დამთრუნველ, გამარუსებელ და კოლონიალურ რეციდის.



ლ. ზურაბიშვილი. ქართულ და უცხოურ პრესაში, აქტიურად საკითხებზე ხშირად კარგ წერილებს ათავსებდა. მან ადრევე შეადგინა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რაც კი საქართველოს შესახებ სხვადასხვა ბუნებურ და-წერილა, — წიგნი ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა, რომ დაინტერესებული უცხოელები საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას ადვილად გასცნობოდნენ; სციმდა ყველ-წლიურ ბიულეტენს ემგზავრის ცხოვრებასა და საქმიანობას; მიმოწერა ჰქონდა მთელ მსოფლიოში გაფანტულ ქართველ ემიგრანტებთან და რამდენადაც კი შეეძლო მათ ბუნებრივ დაუზარებლად ზრუნავდა. იყო ერთი ინი-ციატორთაგანი ვაზ. „თავისუფლების ტრიბუნა“-ს და-მარსებელი და რედაქტორი.

სამწუხაროდ, ამავე გაზეთს, ვასულ წელს, მოულოდ-ნელად გამოეცალა კიდევ ერთი რედაქტორი — მიხეილ გრიგოლია, რომლის სიკვდილმა ყველა მისი ნაცნობ-მე-გობარი ძლიერ დააღონა. ახლა მას მივმართა ლ. ზურაბიშ-ვილი. ასეთი მათი ბედისწერის დამთხვევა უცნაური და სავალალოა და სავალდებულოც, ორთავენი ჯერ კიდევ სპირიტუალური იყვნენ ჩვენი ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის. უღობველი სიკვდილი ასე არ სჯის!

გულწრფელად დანანანია, რომ ასეთი მებრძოლი პატ-რიოტი ამ წუთისათვის, ასე ნაადრევად განშორდა და თან წაიღო თავის სამშობლოს ახლანდელი უსამართლო ხვედრის მწუხარება და დარდი. უფრო სავალალოა, რომ ის ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოს ხილვას, რაც მისი მუდმივი სასუქარი იყო.

საუკუნოდ იცვებს ამ კარგი ქართველის ხსენება! შთა-მომავლობა არასდროს დაივიწყებს ესოდენ მის კეთილ-შობილურ ამბავს.

**ს. ჰირაკაძე.**

— : —

**ღრმად პატივცემული და ძვირფასო დოა ზეინაბ.**

გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულწრფელი თანაგრძნობა და სამძიმარი თქვენი ძვირფასი მეუღლის, ყველასათვის დაუფიწყარი ლევანის, გარდაცვალებით გამოწვეული, არავითარ სიტყვას არ შეუძლია ოდნე მინც დააცხროს, დააყუჩოს თქვენი და თქვენი ძვირფასი შვილების უსაზ-ღვრო ტანჯვა-მწუხარება, მაგრამ ერთი რამ იყოს თქვენ-თვის ერთგვარ სუგეზად; ეს ის, რომ არ არის არსად ერთი ქართველი ქალი, რომელიც მოწიწებით არ იხსენიებდეს მის სახელს და გულწრფელად არ დასტიროდეს დიდი ქართველი მამულიშვილის ასე უღრმოდ დაკარგვას.

ნიჭით, ცოდნით და ენერჯით აღსავსე, ნეტარხსენებუ-ლი ლევანი თეთი უცხოეთშიაც კი იყო სიმბოლო თავდა-დებული მებრძოლისა საყვარელი სამშობლოს სუვერენ-ობა-დამოუკიდებლობის აღსადგენად. მან პირნათლად

მოიხიდა თავისი ვალი ქართველი ერის წინაშე და მასი სახელი, როგორც სხემოსილი თავგანწირული მამულიშ-ვილისა დაიკავებს საპატიო ადგილს ქართველი ერის ეს-ტორია-მატიანეში.

სიკვდიანი გრძნობებით შეპყრობილი გეამბორები შო-რიდან და სიყვარულით დავკონი თქვენს მშვენიერ შვილებს.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მარად თქვენი გოგი ნაკაშიძე.

10 2 1975

— : —

**დიდად პატივცემული და ძვირფასო ბატონო ზეინაბ,**

... მიმძიმს და მიძნობდა ამ წერილის მოწერა. ვერ ვუთხრებდი იმ აზრს, რომ განგება ესე მკაცრად მოექცა ქართულ საქმეს და თქვენ, და ასე უსამართლოდ წაგ-ვართო უნაგარო პატრიოტი და უნაგარო პატიოსანი მოღ-ვაწე; ჩვენი ძვირფასი ლევანი.

შესისი თქვენი ტკივილი და თქვენი შეუღარებელი, უძვირფასესი დანაკარგი. თქვენ ტკივილებს იზიარებს და თანაგრძნობთ მთელი ქართველი ემიგრაცია. ჩვენს ემიგ-რაციაში არ იყვნენ ბევრი ისეთი პიროვნებაანი, რომ ესე, ერთხმად გამოეწვიათ მთელი ემიგრაციის გულისტკივი-ლი და მწუხარება.

სან-ფრანცისკოს ქართველებმა, ეს მწუხარე ამბავი, მკაცრ ტკივილთ იგრძნეს და ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ჩვენს რიგებში ვერაინი შეავსებს ამ დაანკლისს.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა. ვთხოვ უზუნაესს, რომ შეგიმსუბუქოთ თქვენი მწუხარება და თქვენ შვილებთან ერთად მოგკეთ განგებამ ძალა და საშუალება ლევანის იდეისთვის მოღვაწეობისა, რომ ამ საქმეში მოგკეთ თქვენ მწუხარების წყლულთა განკურ-ნება.

ულრმესი პატივისცემით ვ. ნანუაშვილი

სან-ფრანცისკო. 17 2 1975.

— : —

**ფრიალ პატივცემული ქალბატონო ზეინაბ,**

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ქართველთათვის დიდი თავ-ზარდამცემი ამბავი არის თქვენი ფრიალ ღირსეული და პატივცემული მეუღლის დაკარგვა. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საქმისთვის. თვითიული ჩვენგანი მთლიანად ვიზიარებთ თქვენს უზომო დარდს და მწუხარებას.

ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარე:

გ. ჯავახიშვილი.

მდივანი: ე. ფაშალიშვილი

ლონდონი. 12 2 1975

### ძვირფასო ბატონო გოგი,

დამერწმუნებით რა თავზარდამცემი იყო ცნობა ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალებისა ჩვენთვის, ვისაც ბედნიერება გვექონდა მასთან პირადი ნაცნობობისა, ურთიერთობისა, საერთო საქმიანობისა. კუშმარიტად, ქართველობამ უცხოეთში დაკარგა ერთერთი დიდი და სახელოვანი მეთაური, ხელმძღვანელი, თავდადებული და ღვაწლმოსილი პიროვნება.

მცირე ნაშთს პოლიტიკურ მებრძოლ ემიგრაციისას, რომელიც ჯერ კიდევ ბრძოლის ველზეა, ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალებით შემოერღვა მტკიცე ბურჯი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამარაგებდა დიად ეროვნულ საქმეს და იყო მტრისაგან შეუველი და აუღებელი. მაგრამ დავგრჩა მისი სულიერი, ხელუქმნელი ბურჯი, რომელიც ცოცხლად შთენილებმა მისმა თანამებრძოლებმა — აგრეთვე შეუველი და აუღებელი მტრისაგან უნდა გავცანოთ .

პირადად თქვენ, მის უახლოეს მეგობარს და თანამებრძოლს — რომელიც თითქოს ცალუღელად დარჩით — თქვენთან ერთად „თავისუფლების ტრიბუნას“, მის თანამშრომლებს და მოჭირანხლეთ გიცხადებთ უღრმეს თანაგრძნობას და ეზიარებთ ვანუზომეღ მწუხარებას, აუნაზღაურებელი დანაკლისისათვის ლევან ივანეს-ძე ზურაბიშვილის გარდაცვალების გამო.

ერთერთი საუკეთესო გვირგვინი მისი ხსოვნისა იქნება „თავისუფლების ტრიბუნის“ არსებობის ვაგრძელება!

პატივისცემით გივი კობახიძე.

12 2 75. ვაშინგტონი.

— : —

პატივცემული ქალბატონო ზეინაბ,

მიიღეთ ჩემგან უღრმესი და გულწრფელი თანაგრძნობა ამ უბედურებაში; ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ ლევანმა დიდის შეგნებითა და შთაგონებით შეასრულა თავისი მოვალეობა თავისი ოჯახის და ამით თქვენს წინაშე და ამასთანვე ქართული საზოგადოების, საქართველოს წინაშე!.. ეს კი დიდი კვალია, რომელიც ლევანმა დატოვა აქ. მაგრამ ის ხარვეზი, რომელიც მან დატოვა თქვენს ოჯახსა და ქართულ საზოგადოებაში შეუფსევნელი დარჩება, ვინაიდან ლევანისავეთ შეემკობილი ადამიანი, სამწუხაროდ, ცოტაა ამ ქვეყანაზე. ამდენად კიდევ უფრო ვიგრძნობთ ჩვენ მის არ ყოფნას ჩვენს შორის. საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

თქვენი კარლო ინასარიძე.

მოუნხენი. 11 2 1975.

— მწარე ამბავის მომტანელი წერილი მივიღეთ, რომაც დიდ მწუხარებაში ჩავყარდით. დარწმუნდით, ჩვენც ლევან ზურაბიშვილი არა მარტო მაღალ ქართველებში, არამედ აქაურ ქართველებშიც დაუვიწყარია. დრო დადგება: საქართველოშიც დაუვიწყარი იქნება. ღმერთმა ეს დრო მალე გვაღიროს!

აჰმე მელაშვილი.

ბურსა. თურქეთი. 15. 2. 1975.

— : —

დიადი პატივცემული ქალბატონო ზეინაბ, ქალბატონო სალომე და ბატონო ოთარ! მიიღეთ უღრმესი და გულთაღი თანაგრძნობა, ჩვენი ლევანის გარდაცვალების გამო. თქვენ დაჰკარგეთ მეუღლე და მზრუნავი მამა, ქართველებმა კი ადამიანი, რომლის სახელი იყო სიმბოლოა: სამშობლოსადმი სიყვარულის, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, და მისი სუვერენობის აღდგენის.

ამ მძიმე დანაკლისმა, მოგაკლო ყველასათვის საყვარელი ადამიანი და ერის თავისუფლებისათვის თავდადებული პატრიოტი, მებრძოლი, დიდი პირადი მორალის და ენულებიის ქართველი.

ქართველთა სათვისტომო გერმანიაში.

უღრმესი პატივისცემით გ. ვეფხვაძე.

— : —

ძვირფასო მეგობარო გიორგი,

მინდა ჩემი უღრმესი სამძიარი და მწუხარება გიძლენთ ჩვენი უძვირფასესი ლევანის დაკარგვის გამო.

მას იმდენი ღვაწლი მიუძღვის ქართული კოლონიის წევრთა წინაშე, რომ მისი სახელი უკვდავი დარჩება ყოველი ქართველის წინაშე.

თქვენ პირადად და „თავისუფლების ტრიბუნას“ სარედაქციო წევრებს: არ დამივიწყოთ თუ რამეც აპირებთ (ან ძეგლს, ან სხვა რამეს, რაც ხარჯს მოითხოვს) და რამდენსაც შეგიძლებთ მოგართმევთ.

უღრმესი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით, თქვენი ერთგული მეგობარი ი. გოგოლაშვილი.

—

ძვირფასო ქალბატონო ზეინაბ,

ჩვენს ოჯახს თავზარი დასცა ყველასაგან პატივცემულ ლევანის დაკარგვამ. თქვენ დაკარგეთ საუკეთესო ოჯახის ღირსეული მამა, თითოულმა ჩვენგანმა კი დავკარგეთ ემოგრატიკოში კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობის სამავალითო მეთაური.

თქვენ, თქვენ შვილებს და ნათესაებს გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულთაღი სამძიარი.

ღრმა პატივისცემით მირ. მელაშვილი



### ძვირფასო ზეინაბ!

ვეთხოვლობ და არ მეჯერა, რომ ლევანმა ზურგი შეაქცია და სამუდომოდ განშორდა ამ უფთისოფელს. წარმოადგენილი მაქვს შენი და შენი საყვარელი შეილებს, სალომესა და ოთარის მწუხარება. მთელი ქართველი ემიგრაციის და განსაკუთრებით კი, მისი ამხანაგ-მეგობრებისათვის დიდი დანაწილისა ლევანის მათგან განშორება.

მიიღე ჩემგან და ჩემი ოჯახიდან გულწრფელი თანაგრძნობა, და ღმერთს ვთხოვო შენთვის მოეცეს ძალა შენზე დამტყდარი უბედურების დაძლევისათვის.

პატივისცემით დათაო ვაშაძე მეუღლით.

— : —

### ძვირფასო ქალბატონო ზეინაბ,

დიდი მწუხარებით ვავიგეთ ლევანის გარდაცვალებას. თუმცა მისი მძიმე ავადმყოფობის ამბავი ვიცოდით, მაგრამ ასეთ უცდელურეს პირობებშია დაც ადამიანი საყვებით არ ნებდება და მაინც ვინახავდით იმედს.

მიიღეთ ყველა ჩვენებისაგან ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა და მწუხარების გაზიარება თქვენ და თქვენმა ჩვირფასმა შვილებმა, რომ ლევანის ღვაწლი და სხოვნა, მისი მომქმედი პიროვნება, მუდამ სამავალით და კეთილი მოსაგონარად დარჩეს ჩვენს შორის.

ღრმა პატივისცემით ირაკლი ოთხმეზური.

ბრიუსელი, 11. 2. 1975

— : —

### ბატონო გიორგი,

დიდი მწუხარებით ვავიგეთ, აქაურმა ქართველებმა ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალება.

განსვენებული მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურა, როგორც ქართულ ემიგრაციას, ისე საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ის იყო დიდი და დაუღალავი მებრძოლი პატრიოტი, როგორც სიტუაციით, ისე კალმით და ასევე საქმით. უნდა სიკვდილმა მოსტაცა ის ჩვენს რიგებს და მით აუნაზღაურებელი ზარალი მოგვაკენა.

ავადმყოფობამ ხელი შემიშალა დასაფლავებას დასწრებოდი, რომ მისთვის უკანასკნელი პატივი მეცა. ნება მომივითო შევეყურეთ თქვენს გლოვას და უღრმესი სამძიმარი მოვახსენო ლევან ზურაბიშვილის ძვირფას ოჯახს.

თქვენი ალიოშა გამაყრდიძი.

მონაელიე, საფრანგეთი

— : —

### ქალბატონო ზეინაბ,

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ძვილფას ლევანის გარდაცვალების გამო.

გ. კორძაძია, ჰამბურგი. 14. 2. 1975.

### ჩემო საყვარელო და ძვირფასო: ზეინაბ, როტარ და

სალომე, როგორ უნდა გამოვთქვა თქვენი მწუხარების წინ ჩემი სულისკეთება! ჩემი ანდროს დაკარგვის შემდეგ არ მივგრძნია ასეთი დიდი მწუხარება. ყველა ჩვენ აქაურ ქართველებთან ერთად გვხვევით სიყვარულით, თქვენთან ვართ გულით და სულით.

წაივინდნე სამი საყვარელი ძმები ზურაბიშვილები: არჩილი, გიორგი და ლევანი.

თქვენი მუდამ, ელენე დეკანოზიშვილი.

აბონდანი 11. 2. 1975

— : —

### დიდო პატივცემულო ქალბატონო ზეინაბ,

გიძლენით თქვენ და თქვენ შვილებს ჩვენს გულწრფელ სამძიმარს, ასე უღრმოდ თქვენი საყვარელი მეუღლის და მამის დაკარგვისათვის.

ძვირფასი ლევანის სიკვდილით, ჩვენ ქართულ ემიგრაციას დაგვაცლებდა დიდი მცოდნე ქართული საქმისა და ნამდვილი ქართველი პატრიოტი.

უფალი თქვენი დამხმარე იქნეს და მოგცეთ თქვენ და თქვენს შვილებს სიმარე და მშვიდობა.

გულთბალი საღამით თქვენი თინა, თამარა და დილი სიმონ გვეგლაშვილის ასულები.

ბრუნსბიტელ. (გერმანია). 26. 2. 1975.

### ძვირფასო ქ. ზეინაბ,

შევიტყვე გულსაკლავი ამბავი ძვირფასი ლევანის გარდაცვალებისა. ამან ყველა დიდად დაგვაშურა. ვიცი, თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის, აუტანელია საყვარელი ქმრის და მამის უღრმოდ დაკარგვა. მერწმუნეთ, ასევე მწარედ იმოქმედა ჩვენზე; განსაკუთრებით მათზე, ვისთანაც განსვენებული წლობით თანამშრომლობდა და ყველგან ამქაღვენება თავის მალალ სულს, კეთილ გულს და ღრმა პატრიოტულ გრძნობას. . .

ძვირფასო ზეინაბ, ისლა დამრჩენია შევეყურეთ თქვენს მწუხარებას და გამოვიცხადო ჩემი გულწრფელი სამძიმარი თქვენ და თქვენს საყვარელ შვილებს.

თქვენ დაკარგეთ საყვარელი ქმარი და მამა და უცხოეთის ქართველობამ ერთი მისი საუკეთესო მოამაგე და მალახარისხიანი წყვილი! . .

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მარად თქვენი ალ. მანველიშვილი.

3 მარტი 1975 წ.

— : —

### ქალბატონო ზეინაბ!

რადიო „თავისუფლების“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს თქვენი ძვირფასი მეუღლის გარდაცვალები მუხნენი 12. 2. 1975.



ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე .

**პატივცემული ქალბატონი ზეინაბ!**

ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ იმოქმედა ჩემზე საწყალ ლევანის გარდაცვალებამ, მისი დანაკლის მართლაც რომ, მთელი ქართველი ემიგრანტებისათვის და ალბათ მთლად საქართველოსათვისაც დიდია. ბუნება უკუღმართი არის, ჩემი სიცოცხლე, — მეც მწარე ბედი მქონდა და ამ სიბერის დროს, ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მთლად მომეშხამა სიცოცხლე.

ეხლაც და სიკვდილამდის შენახული მექნება საყოდავი ლევანის უკანასკნელი წერილი, სადაც თვით ვანწირული იმედთან და გამამხნეველად წერილს მწერდა, ჩემი მეუღლის დაკარგვის შემდეგ. ამიტომაც, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და გეტყვით ერთ რამეს:

